შპს "ევდო"
Ltd "EVDO"

საქართველო, თბილისი, ევდოშვილის ქ. 6

Evdoshvili st. 6, Tbilisi, Georgia

28.01.16

ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს

ქ.თბილისში ევდოშვილის ჭუჩა №6-ში, ჩვენი კომპანია აწარმოებს სასტუმროს მშენებლობას. აღნიშნული ობიექტისთვის ქალაქმშენებლობითი პარამეტრების მომატების საკითხით მივმართეთ არქიტექტურის სამსახურს, თუმცა არქიტექტურულმა სამსახურმა რკინიგზის ტერიტორიის სამომავლო განვითარების დაზუსტებამდე, თავი შეიკავა მოთხოვნის დაკმაყოფილებისგან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, მე კონსტანტინე მაზმიშვილი შპს "ევდო"-ს დირექტორი, როგორც საპროექტო მიწის ნაკვეთის მეპატრონე (ს/კ **01.13.06.011.073)**, ვადასტურებ, რომ თუ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს სამომავლოდ მოუწევს გარკვეული საპროექტო გადაწყვეტილებების შედეგად ჩვენი ტერიტორიის სანაცვლოდ კომპენსაციის გაცემა, კომპენსაცია მოხდეს გენგეგმით დღეისათვის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში და არა მინიჭებული პარამეტრების მიხედვით. თქვენი დადებითი პასუხის შემთხვევაში მზად ვართ გავაფორმოთ შესაბამისი შეთანხმება.

შპს "ევდო"

დირექტორი

კონსტანტინე მაზმიშვილი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N160071975
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	28.01.2016 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მარინა მახარაძე
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ.ბათუმი, ბარათაშვილის ქ.22
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	27-07-28
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	92471745145416

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

ქ.ბათუმი

ორი ათას თექვსმეტი წლის ოცდარვა იანვარს, მე, ნოტარიუსს მარინა მახარაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.ბათუმი, ბარათაშვილის ქ.№22, მომმართა: **ბატონმა კონსტანტინე მაზმიშვილმა,** რომელმაც წარმოადგინა მიმართვა და მოითხოვა მასზე მისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ბატონმა კონსტანტინე მაზმიშვილმა,** დაბადებული 10.04.1993წ. მცხოვრები ქ.ქარელი, ს. დირბი მე–**15** I შეს. **N 6,** პირადი №43001039319, მომმართა.

მე, ვადასტურებ, რომ მის მედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა განვუმარტე მას, რომ ვამოწმებ მხოლოდ მის მიერ წარმოდგენილ მიმართვას, ხოლო წარმოდგენილი მიმართვის შინაარსსა და მიღებულ სამართლებრივ შედეგებზე ნოტარიუსი პასუხს არ აგებს. აღნიშნული განმარტებების შემდეგ მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მიმართვას.

მიმართვა შედგენილია ერთ ეგზემპლარად.

გადახდილია საზღაური 2.00 ლარი, აგრეთვე 2.00 ლარი სანოტარო მოქმედების ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციის საფასური, სულ 4.00 ლარი, თანახმად „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის N 507 დადგენილების 31–ე და 39–ე მუხლებისა.

ნოტარიუსი _____ მარინა მახარაძე